

საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ტექნიკური და სამშენებლო
ზედამხედველობის სააგენტო



LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW
TECHNICAL AND CONSTRUCTION
SUPERVISION AGENCY

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



KA020164896662120

№ 60-04

22 / აპრილი / 2020 წ.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტში, მდინარე რიონზე, ნამახვან ჰესების კასკადის (324მგვტ) ქვემო ნამახვანის ჰიდრო-ელექტროსადგურის განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ

„განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების (მათ შორის, რადიაციული ან ბირთვული ობიექტების) მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №257 დადგენილების 21-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, 38-ე მუხლის მე-2 პუნქტის მე-4 და მე-6 ქვეპუნქტის შესაბამისად და 50-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. შეთანხმებული იქნას წყალტუბოს მუნიციპალიტეტში, მდინარე რიონზე, ნამახვან ჰესების კასკადის (324მგვტ) ქვემო ნამახვანის ჰიდრო-ელექტროსადგურის არქიტექტურული პროექტი, კონსტრუქციული და ტექნოლოგიური სქემები.

2. გაიცეს განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების მშენებლობის ნებართვა (შემდგომში-ნებართვა) წყალტუბოს მუნიციპალიტეტში, მდინარე რიონზე, ნამახვან ჰესების კასკადის (324მგვტ) ქვემო ნამახვანის ჰიდრო-ელექტროსადგურზე შემდეგი პირობებით:

ა) 2021 წლის 13 აპრილის ჩათვლით სსიპ-ტექნიკურ და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოში წარმოდგენილი იქნას „განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების (მათ შორის, რადიაციული ან ბირთვული ობიექტების) მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის № 257 დადგენილების 52-ე მუხლის შესაბამისად შედგენილი საბოლოო სამშენებლო დოკუმენტი შესაბამისი საექსპერტო დასკვნებით.

ბ) სამშენებლო სამუშაოები არ განხორციელდეს (გარდა მოსამზადებელი რიგის და მიწის სამუშაოებისა) სანამ სსიპ-ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოში წარმოდგენილი არ იქნება ამ ბრძანების მე-2 პუნქტის „ა“) ქვეპუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტაცია;

გ) 2022 წლის 4 მარტის ჩათვლით სსიპ-ტექნიკურ და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოში წარმოდგენილი იქნას ამ ბრძანების N1 დანართში მითითებული, სამშენებლო მიზნებისათვის გამოსაყენებელი ტერიტორიის მიწის ნაკვეთის/ნაკვეთების საკუთრების ან სარგებლობის დამადასტურებელი საბუთები;

დ) სამშენებლო სამუშაოები განხორციელდეს იმ მიწის ნაკვეთზე ან ნაკვეთებზე, რომლებზეც სსიპ -ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოში წარმოდგენილ იქნება საკუთრების ან სარგებლობის დამადასტურებელი საბუთი.

3. გაიწეროს მშენებლობის განხორციელების შემდეგი ეტაპები:

I -ბეტონის გრავიატურული კაშხალისთვის და წყალსაცავისთვის და წყალმიღებისთვის:

ა) მოსამზადებელი რიგის სამუშაოები:

- ა.ა) მოსამზადებელი სამუშაოები;
- ა.ბ) დაკვალვა და ძირითადი ღერძების დაფიქსირება;

ბ) ძირითადი რიგის სამუშაოები:

- ბ.ა) მიწის სამუშაოები;
- ბ.ბ) ფუძის მოწყობის სამუშაოები;
- ბ.გ) ძირითადი კონსტრუქციული სისტემის მოწყობა ნულოვან ნიშნულამდე;
- ბ.დ) ძირითადი კონსტრუქციული სისტემის მოწყობა ნულოვანი ნიშნულიდან;
- ბ.ე) მექანიკური მოწყობილობების მონტაჟი;
- ბ.ვ) მექანიკური მოწყობილობების გამოცდა.

II- სადანწესო დერევაციული გვირაბისთვის და სამშენებლო გვირაბისთვის:

ა) მოსამზადებელი რიგის სამუშაოები:

- ა.ა) მოსამზადებელი სამუშაოები;
- ა.ბ) დაკვალვა და ძირითადი ღერძების დაფიქსირება;

ბ) ძირითადი რიგის სამუშაოები:

- ბ.ა) მიწის სამუშაოები;
- ბ.ბ) გვირაბის პორტალის მოწყობის სამუშაოები;
- ბ.გ) გვირაბის გაყვანის სამუშაოები;
- ბ.დ) გვირაბის ძირითადი კონსტრუქციის მოწყობა (თალის მოწყობა);
- ბ.ე) გვირაბის ჰერმეტიზაცია და ტორკრეტირების სამუშაოები;
- ბ.ვ) გვირაბის ჩამკეტი ფარების მოწყობა;
- ბ.ზ) გვირაბის ჩამკეტი ფარების გამოცდა.

III- გამთანაბრებელი რეზერვუარისთვის:

ა) მოსამზადებელი რიგის სამუშაოები:

- ა.ა) მოსამზადებელი სამუშაოები;
- ა.ბ) ობიექტის გრუნტზე დაკვალვა და ძირითადი ღერძების დაფიქსირება;

ბ) ძირითადი რიგის სამუშაოები:

- ბ.ა) მიწის სამუშაოები;
- ბ.ბ) ფუძის მოწყობის სამუშაოები;
- ბ.გ) საძირკვლის მოწყობის სამუშაოები;
- ბ.დ) ძირითადი კონსტრუქციული სისტემის მოწყობა.

IV -სატურბინე მილსადენისთვის და განყვანი არხისთვის:

ა) მოსამზადებელი რიგის სამუშაოები:

- ა.ა) დაკვალვა და ძირითადი ღერძების დაფიქსირება;
- ა.ბ) დაკვალვა და ძირითადი ღერძების დაფიქსირება;

ბ) ძირითადი რიგის სამუშაოები:

- ბ.ა) მიწის სამუშაოები;
- ბ.ბ) ფუძის მოწყობის სამუშაოები;
- ბ.ბ) საძირკვლის მოწყობის სამუშაოები;
- ბ.დ) ძირითადი კონსტრუქციული სისტემის მოწყობა;
- ბ.ე) მექანიკური მოწყობილობების მონტაჟი;
- ბ.ვ) მექანიკური მოწყობილობების გამოცდა.

V. ჰესის შენობისთვის და სატრანსფორმატორო ქვესადგურისთვის:

ა) მოსამზადებელი რიგის სამუშაოები:

- ა.ა) დაკვალვა და ძირითადი ღერძების დაფიქსირება;
- ა.ბ) მიწის ნაკვეთის გრუნტის ზედაპირის ცვლილების შემთხვევაში გრუნტის შეცვლილი ზედაპირის შემდეგ ძირითადი ღერძების დაფიქსირება.

ბ) ძირითადი რიგის სამუშაოები:

- ბ.ა) მიწის სამუშაოები;
- ბ.ბ) ფუძის მოწყობის სამუშაოები;
- ბ.გ) საძირკვლის მოწყობის სამუშაოები;
- ბ.დ) ძირითადი კონსტრუქციული სისტემის მოწყობა ნულოვან ნიშნულამდე;
- ბ.ე) ძირითადი კონსტრუქციული სისტემის მოწყობა ნულოვანი ნიშნულიდან;
- ბ.ვ) სახურავისა და გადახურვის მოწყობა;

- ბ.ზ)არამზიდი კონსტრუქციის მონყობა;
- ბ.თ)ლოკალური საერთო სარფებლობის საინჟინრო-კომუნალური ქსელების მონყობა;
- ბ.ი)მექანიკური მონყობილობების მონტაჟი;
- ბ.კ)ელექტრომონყობილობების მონტაჟი;
- ბ.ღ)გარემოსაპირკეთებელი სამუშაოები;
- ბ.მ)ელექტრო და მექნიკური მონყობილობების გამოცდა.

VI. ზედა და ქვედა ზღუდარების მონყობის სამუშაოები:

ა) მოსამზადებელი რიგის სამუშაოები:

- ა.ა) მოსამზადებელი სამუშაოები;
- ა.ბ) ობიექტის გრუნტზე დაკვალვა და ძირითადი ღერძების დაფიქსირება;

ბ) ძირითადი რიგის სამუშაოები:

- ბ.ა)მინის სამუშაოები;
- ბ.ბ)ფუძის მონყობის სამუშაოები;
- ბ.გ)სადირკვლის მონყობის სამუშაოები;
- ბ.დ) ძირითადი კონსტრუქციული სისტემის მონყობა.

VII. შიდა მისასვლელი გზებისთვის:

ა) მოსამზადებელი რიგის სამუშაოები:

- ა.ა) მოსამზადებელი სამუშაოები;
- ა.ბ) ობიექტის გრუნტზე დაკვალვა და ძირითადი ღერძების დაფიქსირება;

ბ) ძირითადი რიგის სამუშაოები:

- ბ.ა)მინის სამუშაოები;
- ბ.ბ)ფუძის მონყობის სამუშაოები;
- ბ.გ)სადირკვლის მონყობის სამუშაოები;
- ბ.დ) საფარის მონყობის სამუშაოები.

VIII. დროებითი ნაკებობებისათვის:

ა) მოსამზადებელი რიგის სამუშაოები:

- ა.ა) დაკვალვა და ძირითადი ღერძების დაფიქსირება;
- ა.ბ) მინის ნაკვეთის გრუნტის ზედაპირის ცვლილების შემთხვევაში გრუნტის შეცვლილი ზედაპირის შემდეგ ძირითადი ღერძების დაფიქსირება.

ბ) ძირითადი რიგის სამუშაოები:

- ბ.ა) მინის სამუშაოები;
- ბ.ბ) ფუძის მონყობის სამუშაოები;
- ბ.გ) სადირკვლის მონყობის სამუშაოები;
- ბ.დ)ძირითადი კონსტრუქციული სისტემის მონყობა ნულოვან ნიშნულამდე;
- ბ.ე)ძირითადი კონსტრუქციული სიტემის მონყობა ნულოვანი ნიშნულიდან;
- ბ.ვ)სახურავისა და გადახურვის მონყობა;
- ბ.ზ)არამზიდი კონსტრუქციის მონყობა;
- ბ.თ)ლოკალური საერთო სარფებლობის საინჟინრო-კომუნალური ქსელების მონყობა;
- ბ.ი)გარემოსაპირკეთებელი სამუშაოები;

IX. კეთილმონყობის სამუშაოები.

4. მშენებლობის ნებართვის მფლობელი ვალდებულია სსიპ – აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანოს – აკრედიტაციის ცენტრის მიერ აკრედიტებულ „A ტიპის ინსპექტირების ორგანოს მიერ მომზადებული მშენებლობის ეტაპის დასრულების შესახებ შედგენილი ოქმი წერილობითი სახით წარმოდგენილ უნდა იქნეს სსიპ - ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოში სათანადო ეტაპის დასრულების შემდეგ, სადაც რეგისტრაციის შემდეგ არის იგი იურიდიული ძალის მქონე დოკუმენტი.

5.მშენებლობის ნებართვა ძალაშია 2024 წლის 31 მარტის ჩათვლით.

6.ბრძანება შეიძლება გასაჩივრებულ იქნას მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში (ქ. თბილისი, სანაპიროს ქუჩა N2).


7.ბრძანება ძალაში შედის მხარისათვის კანონით დადგენილი წესით გაცნობისთანავე.

საფუძველი:

1.შპს „ენკა რინიუებლი“-ს 2020 წლის 4 მარტის NGE001-GE-OT-LET-0241 განცხადება და თანდართული დოკუმენტი;

2. სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების მშენებლობის ნებართვებისა და ზედამხედველობის სამმართველოს უფროსის დროებით მოვალეობის შემსრულებლის გიორგი ბარქაიას N719/04 15.04.2020 წლის მოხსენებითი ბარათი.

სსიპ ტექნიკური და სამშენებლო
ზედამხედველობის სააგენტოს უფროსი

ხელმოწერილია/
შტამგადასმულია
ელექტრონულად 

დავით გიგინეიშვილი

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
MINISTRY OF ECONOMY AND SUSTAINABLE DEVELOPMENT OF GEORGIA

საჯარო სამართლის იურიდიული პირი
 ტექნიკური და სამშენებლო
 ზედამხედველობის სააგენტო



**LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW
 TECHNICAL AND CONSTRUCTION
 SUPERVISION AGENCY**

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



KA020113502313420

№ 135-04

21 / სექტემბერი / 2020 წ.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტში, მდინარე რიონზე, ნამახვან ჰესების კასკადის (324 მგვტ) ქვემო ნამახვანის ჰიდრო-ელექტროსადგურის განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ“ სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს უფროსის 2020 წლის 22 აპრილის N60-04 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

„განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების (მათ შორის, რადიაციული ან ბირთვული ობიექტების) მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის N257-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63- ე მუხლის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. შეტანილ იქნას ცვლილება „წყალტუბოს მუნიციპალიტეტში, მდინარე რიონზე, ნამახვან ჰესების კასკადის (324 მგვტ) ქვემო ნამახვანის ჰიდრო-ელექტროსადგურის განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ“ სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს უფროსის 2020 წლის 22 აპრილის N60-04 ბრძანების მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტში და აღნიშნული ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ. სამშენებლო სამუშაოების დაწყება შესაძლებელია განხორციელდეს ობიექტის იმ ცალკეულ ნაწილებზე, რომელზეც სააგენტოში წარმოდგენილი იქნება „განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების (მათ შორის, რადიაციული ან ბირთვული ობიექტების) მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის N257 დადგენილების 52- ე მუხლის შესაბამისად შედგენილი საპროექტო დოკუმენტაცია, შესაბამისი საექსპერტო დასკვნებით.

2. სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს უფროსის 2020 წლის 22 აპრილის N60-04 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.

3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს უფროსის 2020 წლის 22 აპრილის N60-04 ბრძანებასთან ერთად.



4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრებული იქნას მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში (ქ.თბილისი, სანაპიროს ქ. N2);

5. ბრძანება ძალაში შედის მხარისთვის კანონით დადგენილი წესით გაცნობისთანავე.

საფუძველი:

1. შპს „ენკა რენიუებლის“ 2020 წლის 14 სექტემბრის განცხადება და თანდართული დოკუმენტაცია;

სსიპ ტექნიკური და სამშენებლო
ზედამხედველობის სააგენტოს უფროსი



ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად



გიორგი გეჯაბე